ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8144272

ნომერი: AR11164250

თარიღი : 06.10.2026

გაცემის თარიღი : 03.11.2026

გაცნობის თარიღი : 03.11.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, N 2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 ივლისის №8021105 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 06 ოქტომბერს №AR11164250 განცხადებით მომართა დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა სამსახურის 2026

წლის 27 ივლისის №8021105 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 27 ივლისის №8021105 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.10.006.138 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ბ“ ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია სს ფეიქარი-95 (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206043459).
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2026 წლის 27 ივლისის №8021105 ბრძანებაში ცვლილების შეტანას კერძოდ, დამკვეთად - სს ფეიქარი - 95 (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206043459) ნაცვლად შპს რეზიდენსი პალასის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405459114) დაფიქსირებას.
დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882026915227; მომზადების თარიღი: 09/10/2026 წ.), №01.17.10.006.138 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წარმოადგენენ სს ფეიქარი-95 (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206043459) და შპს რეზიდენსი პალასი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405459114). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25177141, მომზადების თარიღი: 18/12/2025წ.), სს ფეიქარი-95-ის (ს/ნ: 206043459) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ჯემალ ალიბეგაშვილი. ასევე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B26422114, მომზადების თარიღი: 03/09/2026 წ.), შპს რეზიდენს პალასის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დავით ლომიძე.
წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილია, შპს რეზიდენს პალასის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405459114) და სს ფეიქარი-95-ის (ს/ნ: 206043459) დირექტორების მიერ განმცხადებლის - დავით ლოსაბერიძის სახელზე გაცემული მინდობილობები (შპს რეზიდენს პალასი - 2026 წლის 26 ოქტომბრის 261516025 მინდობილობა, სს ფეიქარი-95 (ს/ნ: 206043459)-2026 წლის 06 ოქტომბრის -261419304 მინდობილობა), შესაბამისად დგინდება, განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, შპს რეზიდენს პალასს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405459114) აქვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და მისი უფლებამოსილი პირი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს - შპს რეზიდენს პალასი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405459114).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,
ვბრძანებ:
1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 ივლისის №8021105 ბრძანებაში და დამკვეთად სს ფეიქარი - 95-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206043459) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს რეზიდენსი პალასი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405459114).
2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 ივლისის №8021105 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 ივლისის №8021105 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.